\*დ) პაციენტის ინფორმირება ნაყოფის განვითარების მანკების წარმოქმნის რისკზე, ნარკოტიკების მიღების გაგრძელების შემთხვევაში ნაადრევი მშობიარობის და პლაცენტის აცლის მოსალოდნელი რისკის შესახებ;

ე) ჩატარდეს ანალიზი ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველობაზე შარღში და დადგინდეს ნაყოფის ბიოფიზიკური პროფილი;

1798. ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ორსულობის, მშობიარობის ან ლოგინობის პერიოდში საშარღე გზების მწვავე ინფექციებს, მოიცავენ ყველა შემდეგს, გარდა:

ა) მშობიარობის შემდეგ შარღის ბუშტის კათეტერიზაცია.

ბ) შარღის ბუშტის ტონუსის დაქვეითება ეპიდურალური ანესთეზიის შედეგად;

გ) უსიმპტომო ბაქტერიურია;

\*დ) შარღსაწვეთების პერისტალტიკის და ტონუსის მომატება;

ე) შარღსაწვეთებზე ბეწოლა გადიდებული საშვილოსნოს მიერ მენჯის შესავლის საზღვარზე;

1799. პლაცენტის სრული წინამდებარეობის დიაგნოზით ნაწარმოებია ოპერაცია, საკეისრო კვეთა, პალატაში გადაყვანის შემდეგ ნაოპერაციებ ქალს დაეწყო საშოღან სისხლისდენა, მიუთითეთ სისხლისდენის ყველაზე სავარაუდო მიზეზზე:

ა) პლაცენტის მიმაგრება საშვილოსნოს ქვედა სეგმენტში.

\*ბ) მოხმარების კოაგულოპათია;

გ) ოქსიგოცინზე, უარყოფითი რეაქცია;

დ) საშვილოსნოს ყელის ჩახევა;

ე) მომყოლის ნაწილების ჩარჩენა საშვილოსნოს ღრუში;

1800. ამოირჩიეთ ორსულობის დროს საშარღე გზების ინფიცირების არასწორი დახასიათება:

- ა) უსიმპტომო ბაქტერიურია უფრო ხშირად ვითარდება იმ ორსულ ქალებში, ვისაც აქვს დაბალი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა.
- ბ) თუ ორსულს არ აღენიშნება უსიმპტომო ბაქტერიურია ექიმის პირველი ნახვისას, შემდგომში იგი იშვიათად ვითარდება;
- გ) მწვავე პიელონეფრიტი, რომელიც ვითარდება უსიმპტომო ბაქტერიურიის დროს, სწორედ იწვევს ნაადრევ მშობიარობას;
- \*დ) ორსულობა მრდის უსიმპტომო ბაქტერიურიის წარმოქმნის რისკს;
- ე) ორსულობის დროს სავალდებულოა ბაქტერიურიის მკურნალობის ჩატარება;

1801. ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშნებიდან, რომლებიც გამოვლენილია 30 წლის I ორსულში, ექოსკენირებით არა აქვს კავშირი ნაყოფის ერთობლასტოზთან:

- \*ა) ნაყოფის ბარძაყის გამრუდება.
- ბ) პლაცენტის გასქელება;
- გ) ნაყოფის ასფიქსია;
- დ) თავის ზომები ორსულობის მოსალოდნელ ვადას აღემატება;

1802. პრეეკლამფიის შედეგები მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილს, გარდა:

- ა) პლაცენტის სისხლის მიმოქცევის შემცირება.
- ბ) ოლიგურიისა;
- \*გ) მიმოქცევაში მყოფი სისხლის რაოდენობის მომატება;
- დ) პლამმაში შარღმქეფას რაოდენობის მომატება;
- ე) გორგლოვანი ფილტრაციის დაქვეითება;

1803. ორსულობის დროს ჩამოთვლილიდან რა მიუთითებს გულის უკმარისობაზე:

- ა) ქოშინი.
- \*ბ) არითმია;
- გ) სუნთქვითი აქტივობის მომატება;
- დ) სისგოლური შუილი;
- ე) ქველა კიდურების შეშუპება;

1804. მონახეთ არასწორი მტკიცება:

- \*ა) ქალს, რომელსაც ერთხელ აქვს გადატანილი საკეისრო კვეთა, ყველა შემდგომი ორსულობა მთავრდება საკეისრო კვეთით.
- ბ) ნაადრევი მშობიარობის ალბათობა მაგულოს ყოფელი შემდგომი ნაადრევი მშობიარობისას;
- გ) მრავალჯერ ნამშობიარე ქალებში მომატებულია რისკი სისხლდენისა ლოგინობის ხანაში;
- დ) ქალს, რომელსაც ჰქონდა საშვილოსნოს გარეშე ორსულობა, განმეორებითი საშვილოსნოს გარეშე ორსულობის რისკი მომატებულია;

1805. თუ ვადაგადაცილებული ორსულობის დროს ნაყოფის სიცოცხლეს შეექმნება საფრთხე აუცილებელია ჩატარდეს:

- ა) განმეორებითი გამოკვლევები ერთი კვირის შემდეგ.
- ბ) სომატომამოგროპინის რაოდენობის განსაზღვრა;
- გ) ნაყოფის სისხლის ლჰ განსაზღვრა;
- \*დ) მშობიარობის ჩატარება მიუხედავად საშვილოსნოს ყელის მდგომარეობისა;
- ე) ამნიოცენტეზით ნაყოფის სიმწიფის განსაზღვრა;

1806. ნაყოფის გენეტიკური დარღვევების რისკის ფაქტორებს განეკუთვნება ყველა შემდეგი, გარდა:

- \*ა) თვითნებითი აბორტი ანამნეზში.
- ბ) მშობლების ეთნიკური კუთვნილება;
- გ) მშობლების ასაკი;
- დ) მშობლების სისხლით ნათესაობა;

1807. სწორი გაქტივის შერჩევა ორსულებში პრეეკლამფიის დროს (TA 140/95 მმ Hგ და პროტეინურია 1% და მეტი). მოიცავს ყველა ქვემოთჩამოთვლილს, გარდა:

- \*ა) ლიურეტიკები.
- ბ) ულტრაბგერითი გამოკვლევა დინამიკაში;
- გ) ჰოსპიტალიზაცია;
- დ) კუმშიითი სტრესული ტესტი;
- ე) წოლითი რეჟიმი;

1808. 24 წლის ასაკის, 37 კვირის ორსული ჰიპერტენზიით შემოდის სტაციონარში ჩივილებით, მუდმივი ტკივილით მუცელში, გამოკვლევისას გამოვლინდა გადაბმული შეგვები და ნაყოფის გულისცემის სიხშირის ვარიაბილობის დაქვეითება. რა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში:

- \*ა) ექოსკოპია დიაგნოზის დადგენის მიზნით.
- ბ) კანქვეშ გერბუგალინის შეყვანა.
- გ) სამშობიარო მოქმედების აღძვრა;
- დ) კოაგულაციური პროფილის დადგენა;
- ე) ჰეპარინის შეყვანა ვენაში;
- ვ) საკეისრო კვეთა;

1809. ორსულობის დროს ერთ-ერთი აუცილებელი ლაბორატორიული გამოკვლევა მიმართულია, რომ გამოვლინდეს:

- ა) ჰერპესული ინფექცია.
- \*ბ) ათაშანგი;
- გ) ციტომეგალოვირუსული ინფექცია;

- დ) ტოქსოპლაზმოზი;
- ე) პარეოვირუსული ინფექცია;

1810. ალამიანის ტოქსოპლაზმოზით დაავადების მთავარი წყაროა:

- ა) ზღვის პროდუქტები.
- \*ბ) კატები;
- გ) ჩიტების ექსკრემენტები;
- დ) დაავადებული ალამიანის სისხლი;

1811. ყველა აღნიშნული პრეპარატი განეკუთვნება ოპიატებს, გარდა:

- ა) კოდეინი.
- ბ) მეტალონი;
- \*გ) მესკალინი;
- დ) მორფინი;
- ე) გერონი;

1812. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებიდან, რომელია მცდარი პლაცენტაში გამავალი Ig კლასებისათვის:

- ა) უფრო თავისუფლად აღწევენ პლაცენტარულ ბარიერს, Ig რომლებიც არ შედიან იმუნური კომპლექსების შემადგენლობაში.
- ბ) მოლეკულის კონფიგურაცია და იონიზაცია ახდენს გავლენას პლაცენტის გამტარიანობაზე;
- \*გ) Ig 19S ვერ გადიან პლაცენტარულ ბარიერს მათი მცირე მოლეკულარული ზომის გამო;
- დ) პლაცენტარულ ბარიერში აღწევენ მხოლოდ შესაბამისად მცირე ზომის მოლეკულები;

1813. პერინატალური სიკვდილიანობა 44 კვირის ორსულობისას შეადგენს:

- \*ა) 6-7%.
- ბ) 4-5%;
- გ) 2-3%;
- დ) 1-2%;
- ე) 1% ნაკლებს;

1814. კოკაინი იწვევს ყველა ჩამოთვლილ გართულებებს, გარდა:

- ა) ნაადრევი მშობიარობა .
- ბ) თანდაყოლილი ანომალიები;
- გ) ანგენაგალური სიკვდილი;
- დ) ნაყოფის ზრდის ჩამორჩენა;
- \*ე) დისტრეს სინდრომი;

1815. ორსულს მკვდრადშობალობით ანამნეზში ჩაუტარდა ერთსაათიანი სინჯი გლუკოზის მიმართ ტოლერანტობაზე; შაქარი სისხლში უმზომე - 6.1 მმოლ/ლიტრში, ერთი საათის შეუდეგ 7.78 მმოლ/ლიტრში. რა ზომების მიღება აუცილებელი ამ ორსულობის შედეგში მართვისათვის?

- ა) შაქრის განსაზღვრა სისხლში სადილიდან 2 საათის შემდეგ.
- ბ) გლუკოზის განსაზღვრა შარდში;
- \*გ) სტანდარტული სინჯი გლუკოზისადმი ტოლერანტობაზე
- დ) დიეტა საკვებით, რომელიც შეიცავს 2000 კკალ.
- ე) არაფართარი. სინჯის პასუხი ნორმაშია;

1816. სტაციონარში შემოდის 16 კვირის ორსული პროგრესირებადი ქოშინით, მაღალი ტემპერატურით (40გრადუსი) აღნიშნება ინტრავენური ინექციებისნაკვალები. რომელი ორგანოების რა სისტემების გამოკვლევას საჭიროებს პაციენტი:

- ა) ნერვული სისტემა.
- \*ბ) გულ-სისხლძარღვთა სისტემა;
- გ) სისხლის სისტემა;
- დ) საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა;
- ე) შარდის გამომყოფი გზები;

1817. რა ღონისძიებები უნდა ჩატარდეს პირველ რიგში იმ შემთხვევაში, თუ ორსულს 37 კვირის ვადაზე დაეწყო სისხლისდენა საშოდან ტკივილების გარეშე.

- \*ა) საშოს დათვალიერება სარკეებში.
- ბ) სანაყოფო ბუშტის დარღვევა;
- გ) კოაგულაციური პროფილის გამოკვლევა;
- დ) სამშობიარო მოქმედების აღძვრა;
- ე) საკეისრო კვეთა;

1818. ვადაგადაცილებულ ორსულობას თან ახლავს ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი, გარდა:

- \*ა) ოქსიტოცინის დაბალი დონე.
- ბ) პლაცენტარული სულფატამის ნაკლებობა;
- გ) ნაყოფის ც.ნ.ს.-ის დარღვევა;
- დ) აღრენოკოორგიკოტროპული ჰორმონის დეფიციტი;

1819. რა შემთხვევაშია ნაჩვენები სასწრაფო სამოსმხრივი გასინჯვის წარმოება, თუ ეჭვი იქნა მიგანილი პლაცენტის წინამდებარეობაზე.

- ა) მხოლოდ შემდეგ, რაც გადაწყდა საკეისრო კვეთის წარმოება.
- ბ) მანამდე, სანამ დადგენილი იქნება პლაცენტის ადგილმდებარეობა ექოსკენირებით;
- \*გ) ყველა შემთხვევაში, როდესაც ორსულობის III ტრიმესტრში აღინიშნება ხანგრძლივი სისხლისდენა საშოდან;
- დ) საავადმყოფოში მოთავსებისა და სისხლდენის შეჩერების შემდეგ;
- ე) 27 კვ. ვადაზე სტაციონარში მოთავსებისას;

1820. ნაყოფის ბიოფიზიკურ პროფილს განსაზღვრავენ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლებით გარდა;

- ა) ნაყოფის მოძრაობების აქტივობისა.
- \*ბ) კუმულირებული სტრესული ტესტისა;
- გ) ნაყოფის კუნთოვანი ტონუსისა;
- დ) სანაყოფო წყლების რაოდენობისა;
- ე) ნაყოფის სუნთქვითი მოძრაობისა;

1821. 38 წლის პაციენტი 34 კვირის ორსულობის ვადაზე უჩივის სისხლისდენას საშოდან. ტკივილები არ აქვს. სამშობიარო მოქმედება არ აღინიშნება, ბუშტი მთელია. სარკეებში დათვალიერებისას საშო და საშვილოსნოს ყელი მთელია. რა არ შეიძლება იყოს სისხლისდენის მიზეზი ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- ა) მიომეტრიუმის ანაბნელობა.
- ბ) ორსულის ასაკი;
- გ) მშობიარობების დიდი რაოდენობა ანაბნელობაში;
- \*დ) ჰიპერტენზია;
- ე) ორსულობა ტყუპი ნაყოფით;

1822. პაციენტი პრეეკლამსიით შემოდის სტაციონარში, აღინიშნება საშვილოსნოს ტეტანუსი და ძლიერი ტკივილი მუცლის არეში, სისხლდენა საშოდან არ აღინიშნება, ნაყოფის გულისცემა არ მოისმინება. ორსული საჭიროებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი სამკურნალო ღონისძიების ჩატარებას გარდა:

- \*ა) ჰეპარინის ინტრავენური შეყვანა.
- ბ) კონტრული შარდის გამოყოფაზე;
- გ) თრომბოციტების რაოდენობის განსაზღვრა;
- დ) სანაყოფო ბუშტის დარღვევა;

1823. ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშნები და სიმპტომები დამახასიათებელია პლაცენტის წინამდებარეობებისათვის, გარდა;

- ა) ერთობლასტომი.
- ბ) სისხლდენა III ტრიმესტრში;
- გ) საშვილოსნოს ქვედა სეგმენტის გათხელების ხარჯზე მეორადად გამოწვეული საშვილოსნოს ყელის ცვლილებები;
- \*დ) საშვილოსნოს ჰიპერტონუსი;
- ე) სისხლდენა საშოდან ტკივილის გარეშე;

1824. ვადაგადაცილების დადგენისათვის პირველ რიგში საჭიროა:

- ა) ჩატარდეს შეკუმშვითი სტრესული ტესტი.
- ბ) განისაზღვროს ამნიოტური სითხის მოცულობა;
- გ) განისაზღვროს ნ.გ.ც.-ის სიხშირე;
- \*დ) დადგინდეს ორსულობის ჭეშმარიტი ვადა;
- ე) ჩატარდეს ულტრაბგერული გამოკვლევა;

1825. ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშნები და სიმპტომები დამახასიათებელია პლაცენტის აცლის მძიმე ფორმისათვის, გარდა:

- ა) ძლიერი ტკივილი მუცლის არეში.
- \*ბ) გარეგანი გამოხატული სისხლისდენა;
- გ) რეტროპლაცენტარული ჰემატომა;
- დ) კრუნჩხვისებური შეგვებები;
- ე) ნაყოფის სიკვდილი;

1826. მძიმე ფორმის პლაცენტის აცლა დაკავშირებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ მდგომარეობასთან, გარდა:

- ა) ჰიპერტენზია.
- \*ბ) RH(-) სენსიბილიზაცია;
- გ) თრომბოციტოპენია;
- დ) თირკმლის პათოლოგია;
- ე) ნაყოფის სიკვდილი;

გაუტკივარება მუცლის არეში. ფიზიოლოგიური მშობიარობა, ლოგინობის ხანა. პათოლოგიური მშობიარობა. ნაყოფის მონიტორინგი ნაადრევი მშობიარობის დროს

1827. რომელია აღნიშნული მტკიცებდან სწორი, მშობიარობის შემდგომი კონტრაცეფციის შესახებ;

- ა) კონტრაცეპცია არ არის საჭირო საკეისრო კვეთის შემდეგ 1 თვის განმავლობაში.
- \*ბ) ზოგიერთმა ქალმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს კონტრაცეპცია;
- გ) მეტუბური ქალისათვის არ არის აუცილებელი ორსულობისაგან დაცვა;
- დ) კონტრაცეპცია არ არის საჭირო პირველ მენსტრუაციამდე;

1828. ორსულობის ფიზიოლოგიური თავისებურებები შეიცავს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ყველას, გარდა:

- ა) შესუნთქვისას ფილტვის ტევალობის გაზრდა.
- \*ბ) ფილტვის ნარჩენი ფუნქციონალური ტევალობის გაზრდა;
- გ) ქანგბადის მოთხოვნილების გაზრდა;
- დ) ფილტვის ვენტილაციის გაზრდა;
- ე) გულის გადასროლის გაზრდა;

1829. რომელ სიტუაციაში შეიძლება ვილაპარაკოთ ნაყოფის თავის ჩაღმამზე.

- ა) ნაყოფის თავი მოხრილია.
- ბ) ისრისებური ნაკერი მღებარეობს გარდიგარდმო მომაში;
- გ) წინამღებარე ნაწილი მღებარეობს საჯლოში ძვლების წვეტების ღონეზე;
- \*დ) ნაყოფის თავის ბიპარიეტალური ზომა მღებარეობს მცირე მენჯის შესავალში;
- ე) ნაყოფის თავი იმყოფება მენჯის ღრუში;

1830. ყველა ჩამოთვლილი აკომპენსირებს ნაყოფში დაბალ პO<sub>2</sub>, გარდა:

- ა) ფეტალურიHb-ს მიერ ქანგბადის ათვისების მაღალი უნარი.
- \*ბ) ფილტვისმიერი სისხლის მიმოქცევა;
- გ) სისტემური სისხლის მიმოქცევა;
- დ) გულის გადასროლის შეფარდება სისხლის საერთო მოცულობასთან;

1831. ნაყოფის გულისცემის სიხშირის ვარიაბელობის შემცირების მიზეზია ყველა, გარდა:

- ა) ასფიქსია.
- \*ბ) ნაყოფის სტიმულაცია;
- გ) ბარბიტურატების მიღება;
- დ) ღღენაკულობა;

1832. ნაადრევი მშობიარობის დაწყების ალბათობა იმ პაციენტებში რომელთაც ანამნეზში ჰქონდა მშობიარობა ღღენაკული ნაყოფით, შეადგენს:

- ა) 80-90 %.
- ბ) 60-75 %;
- გ) 40-50 %;
- \*დ) 20-30 %;
- ე) 0-10 %;

1833. ყველა ჩამოთვლილი სამკურნალო საშუალებები გამოიყენება სამშობიარო მოქმედების ღატრგუნვისათვის, გარდა:

- ა) გერბუგალინი.
- ბ) რიტოდრინი;
- \*გ) ფენობარბიტალი;
- დ) მაგნიუმის სულფატი;
- ე) ეთანოლი;

1834. აარჩიეთ პროსტაგლანდინების სინთეზის ინჰიბიტორთა თვისება, რომელიც ხელს უშლის მათ ფართო გამოყენებას მიომეტრიუმის მოღუნების მიზნით.

- ა) უნარი გამოიწვიოს რძისმკევა აცილოში.
- ბ) ბელმეტი სიძვირე;
- \*გ) გამოიწვიოს ნაყოფის არტერიული საღინარის ნაადრევი დახურვა;
- დ) არტერიული წნევის მომატება;
- ე) არაეფექტურობა;

1835. ორსულში ეპიდურალურმა ანესთეზიამ შეიძლება გამოიწვიოს ყველა ჩამოთვლილი მღგომარეობა გარდა:

- \*ა) გულის გადასროლის გაზრდა.
- ბ) ვენების სისხლსავსეობის გაზრდა;
- გ) ვენოზური უკუღინების დაქვეითება;
- დ) პლაცენტარული ტრანსპორტის გაუარესება;
- ე) ჰიპოტენზია;

1836. თავისებურებები ან ცვლილებები, რომლებიც თანსდევს ნაყოფის გულისცემის სიხშირის გვიან შენელებას, შეიცავს ყველა ჩამოთვლილს, გარდა:

- ა) ჩვეულებრივ ახლავს PO<sub>2</sub> გაზრდა.
- ბ) ჩვეულებრივ თან სდევს ნაყოფის PO<sub>2</sub> შემცირება;
- გ) დაკავშირებულია საშვილოსნო-რესპირატორული სისხლის მიმოქცევის შემცირებასთან;
- \*დ) შეიძლება დაკავშირებული იყოს რესპირატორულ ალკალოზთან;
- ე) ჩნდება პრეეკლამსიის ღროს;

1837. 39 წლის მღღელსანი, მართონული რბენის მონაწილე, მოვიდა პირველ პრენატალურ კონსულტაციაზე ორსულობის 8 კვირის ვაღამე. მას 3-ჯერ ჰქონდა ნაადრევი მშობიარობა. მიმღინარე ორსულობა რიგით მე-5, იგი ეკითხება ექიმს ღღენაკული ბავშვის დაბადების საშიშროებაზე. ექიმმა უნდა აუხსნას, რომ:

- ა) ხშირი ვაგინალური გამოკვლევები აუცილებელია მხოლოდ ნაადრევი მშობიარობის დაწყებითი სიმპტომების გამოჩენის შემდეგ.
- \*ბ) მან სისტემატურად უნდა იაროს მიღებაზე, რომ ექიმმა აკონტროლოს მისი მღგომარეობა და ჩაატაროს ვაგინალური გამოკვლევა;

- გ) მისი ასაკი არ იმოქმედებს ორსულობის მიმდინარეობაზე;
- დ) მას კიდევ 1 თვის განმავლობაში შეუძლია მიიღოს მონაწილეობა მართონულ სირბილში;
- ე) მას არა აქვს ნაადრევი მშობიარობის რისკი;

1838. შეარჩიეთ არასწორი მტკიცება, რომელიც ეხება ანალგეტიკების პლაცენტიდან შეღწევას.

- ა) ანალგეტიკების შეღწევა დამოკიდებულია პლაცენტის სისქეზე და ზედაპირის ფართობზე.
- ბ) ანალგეტიკები სწრაფად აღწევენ ნაყოფის სისხლის მიმოქცევაში;
- გ) ანალგეტიკების შეღწევა დამოკიდებულია ნაყოფისა და დედის სისხლს შორის კონცენტრაციულ გრადიენტზე;
- \*დ) სწრაფად აღწევენ იონიზირებული ნივთიერებები;
- ე) ანალგეტიკების შეღწევა ხდება უბრალო დიფუზიის გზით;

1839. საკეისრო კვეთის ფართო გამოყენების უმთავრესი შედეგია:

- ა) ნაყოფის მდგომარეობის მუდმივი კონტროლი.
- \*ბ) პერინატალური სიკვდილიანობის შემცირება;
- გ) დედის სიკვდილიანობის შემცირება;
- დ) დედის დაავადებათა შემცირება;

1840. ქალი მშობიარობს ანალგეტიკის გარეშე. ჭინთები კარგი აქვს. ნაყოფის თავი იმყოფება შორისის ღონეზე. შესაძლებელია ეპიბიოტომია შორისის შემდგომი აღდგენით. სად და რაგომ უნდა იყოს შეყვანილი ნემსი ანესთეზიის ჩასაგარებლად?

- ა) გავის წვერში.
- \*ბ) გავა-წვეტის იოგთან;
- გ) სწორნაწლავსამეილოსნოს იოგში;
- დ) მზის წნულში;
- ე) შორისიდან;

1841. ნაყოფის ძირითადი მოძრაობები მშობიარობის დროს მიმდინარეობს განსაზღვრული თანამიმდევრობით. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი;

- ა) წინსვლა, მოხრა, ჩაღმა.
- \*ბ) ჩაღმა, წინსვლა, მოხრა;
- გ) ჩაღმა, შინაგანი ბრუნვა, წინსვლა;
- დ) ჩაღმა, მოხრა, წინსვლა;
- ე) წინსვლა, შინაგანი ბრუნვა, მოხრა;

1842. პროსტაგლანდინების სინთეზში მონაწილეობს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) არაესთერიფიცირებული არაქილონის მჟავები.
- ბ) ციკლოქსიგენაზები;
- \*გ) ეთერიფიცირებული არაქილონის მჟავა;
- დ) ფოსფოლიპაზები;
- ე) მონოქსიგენაზები;

1843. ქალი თავსდება სტაციონარში მშობიარობის აქტიურ ფაზაში. სანაყოფე გარსების გახევა მოხდა 2 საათის წინ, ნაყოფის გულისცემის სიხშირის რეგისტრაციით ღვინდება, გულისცემის სიხშირის შენელება, რომელიც არ არის დაკავშირებული სამშობიარო შეგვევებთან. სწრაფად უბრუნდება ბაზალურ ღონეს კარგი ვარიანტობით. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რას ახასიათებს ნაყოფის გულისცემის სიხშირის ასეთი შენელებები:

- \*ა) განპირობებულია სანაყოფე გარსების გახევით.
- ბ) დაკავშირებულია ნაყოფის სისხლის PH-ის-მომავლებთან;
- გ) მიუთითებს ნაყოფის მეტაბოლურ აცილოზს;
- დ) გამოწვეულია საშეილოსნოს პლაცენტარული უკმარისობით.
- ე) დაკავშირებულია ნაყოფის თავზე შეწოლასთან;

1844. 16 წლის ქალი, პირველი ორსულობით, უჩვიის რეგულარულ ტკივილებს მუცლის ქვედა არეში, რომელიც მეორდება 2 წთ-ში ერთხელ. ორსულობა 28 კვირისაა. ანამნეზის შეკრების შემდეგ ექიმმა პირველ რიგში უნდა:

- ა) შეაფასოს საშეილოსნოს ყელის მდგომარეობა სარკეების დახმარებით.
- ბ) საჭიროა მუდმივი დაკვირვება ნაყოფის მდგომარეობაზე;
- \*გ) მუცლის პალპაციის გზით დაადგინოს საშეილოსნოს შეკუმშვის სიხშირე;
- დ) დაუყოვნებლივ გააგზავნოს ქალი სამშობიარო განყოფილებაში;

1845. ექიმი ნახულობს ქალს. მშობიარობიდან მე-2 დღით. მშობიარობის დროს ჩაატარეს ეპიდურალური ანესთეზია. მშობიარე ამბობს, რომ ძლიერი თავის ტკივილის გამო თავს ვერ წევს ბალიშიდან. ეს თავის ტკივილები შეიძლება აიხსნას ყველა ჩამოთვლილი მიზეზით, გარდა:

- \*ა) ცირკულაციაში მყოფი სისხლის შემცირებით.
- ბ) ხერხემლის ვენური წნულის კოლაპსით;
- გ) ბურგის ტვინის სითხის მოცულობის შემცირებით;
- დ) თავის ტვინის რბილი გარსების გადაჭიმვა;
- ე) ნემსის გაკეთების ადგილას ბურგის ტვინის სითხის გამოკონვით;

1846. ეპიბიოტომიას აგარებენ, რომ აიცლონ:

- ა) ანუსის ამწევი კუნთის შეკუმშვა.

- \*ბ) რექტოცელეს და ცისტოცელეს განვითარება;
- გ) შორისის კუნთების შეხორცება;
- დ) შორისის ცული შეხორცება;

1847. ქალს, ხანგრძლივი უწყლო პერიოდით, დროული ორსულობის დროს უგარებენ ოქსიტოცინით სტიმულაციას. საშვილოსნოს ყელის 6 სმ. გახსნისას აღმოჩნდა ნაყოფის გულისცემის სისხირის შენელება. ყოველი შეტევის შემდეგ, რომელიც მეთრდება 90 წამში ერთხელ. რა თერაპია იქნება სწორი ამ მომენტში?

- ა) საშვილოსნოს შიგნით კათეტერის შეყვანა, წნევის გასინჯვის მიზნით.
- ბ) ამნიონფუზია.
- \*გ) კანქვეშ გერბუგალინის შეყვანა;
- დ) პაციენტის დაწვევა მარცხენა გვერდზე;
- ე) საკეისრო კვეთა;

1848. ქალმა ეს-ესაა გააჩინა მე-5 ბავშვი ანესთეზიის გარეშე. მომყოლის მოშორებისას, ჭიპლარის დაქაჩვის დროს, ადგილი აქვს საშვილოსნოს გადმობრუნებას საშოში. ჩამოთვლილი პრეპარატებიდან რომელი გამოიყენება;

- ა) აზოტის ბეჟანგი.
- ბ) ბუპივაკაინი;
- გ) ციკლოპროპანი;
- \*დ) ჰალოგანი;

1849. ქალი იმყოფება მშობიარობის აქტიურ ფაზაში ყელი გახსნილი აქვს 5 სმ-ზე. რეგისტრირებულია ნ. გ. ს. ვარიანტის შემცირება, ბაზალური სისხირე 125 წუთში. ერთეული დაგვიანებული შენელებით. ნაყოფის თავის კანიდან სისხლის P3 7,22. რომელ მდგომარეობას ან მოქმედებას მიუთითებს ეს სიტუაცია?

- ა) კათეტერის გამოყენება აუცილებელია საშვილოსნოს შიდა წნევის განსაზღვრის მიზნით.
- ბ) სასწრაფო საკეისრო კვეთის აუცილებლობაზე;
- გ) მშობიარის ქორიოამნიონიგი ცხელებით;
- \*დ) სისხლის PH განმეორებითი განსაზღვრის აუცილებლობაზე - 20 წუთის შემდეგ;
- ე) ნაყოფის მნიშვნელოვანი მეტაბოლური აციდოზი.

1850. რომელი ჩამოთვლილი გართულებაა უფრო ნაკლებად დამახასიათებელი ექსტრა-პერიტონეალური საკეისრო კვეთისათვის:

- \*ა) პერიტონიტი.
- ბ) ცისტიტი;
- გ) ენდომეტრიტი;
- დ) პიელონეფრიტი;
- ე) ჭრილობის ინფიცირება;

1851. ნაყოფის ჰიპოქსიის გამო მშობიარეს ჩაუგარდა სასწრაფო საკეისრო კვეთის ოპერაცია, ზოგადი ანესთეზიის ქვეშ. ოპერაციის შემდეგ ანესთეზიოლოგი აღნიშნავს ტაქიპნოეს და სუნთქვითი ხმის არარსებობას ორივე ფილგვის ქვედა ნაწილში. აუცილებლად უნდა ჩატარდეს ყველა ქმედება, გარდა:

- ა) ფილგვებიდან სითხის ამოქაჩვა.
- \*ბ) ანტაციდის დანიშვნა;
- გ) ინტუბაცია და ფილგვების ხელოვნური ვენტილაცია;
- დ) კორტიკოსტეროიდების დანიშვნა;
- ე) ანტიბიოტიკების დანიშვნა;

1852. მშობიარემ იმშობიარა 4082 გრ. მასის ნაყოფით. შუა ეპიბიოტომია გართულდა მე-2 ხარისხის ჩახვევით. რომელი ქსოვილები დარჩა დაუზიანებელი?

- \*ა) სწორი ნაწლავის ლორწოვანი გარსი.
- ბ) ფასცია;
- გ) შორისის კუნთები;
- დ) შორისი;
- ე) კანი;

1853. 32 წლის ქალი იმყოფება მშობიარობის მე-2 პერიოდში. ჭინთვები გრძელდება 2 საათის განმავლობაში. თავი არის გამოსავალში, ყოველ შეტევას თან სდევს ნაყოფის ბრადიკარდია 100-მდე წუთში, რომელიც გრძელდება 30 წამს. რას გვაფიქრინებს ეს კლინიკური სურათი?

- ა) ნაყოფის სისხლის PH შემცირება.
- \*ბ) ნაყოფის თავზე ბეწოლა;
- გ) მცირეწლიანობა;
- დ) ნაყოფისათვის ცული პროგნოზი;
- ე) ნაყოფის სისტემური ჰიპოქსია;

1854. ამოიჩიეთ ძირითადი გართულებები საკეისრო კვეთისას საშვილოსნოზე კლასიკური განაკვეთის დროს.

- ა) საშვილოსნოს სისხლძარღვთა დამიანება.
- ბ) ნაწიბურის ცული შეხორცება;
- გ) პოსტოპერაციული შეხორცებების ფორმირება;
- \*დ) შეიძლება ორსულობისა და მშობიარობის დროს არსებული ნაწიბურის გახვევა;

1855. შუა ლაგერალური ეპიზოტოლოგიის ნაკლი არის ყველა ჩამოთვლილი, გარდა;

\*ა) წარმოებული განაკვეთის სწორი გახევა ანალური სფინქტერის და სწორი ნაწლავის დაზიანებით.

ბ) ზოგჯერ წარმოქმნილი დისპარეუნია;

გ) ცუდი შეხორცება;

დ) შორისის მთლიანობის აღდგენის გაძნელება;

1856. 25 წლის ორსული უჩვიის ძლიერ ტკივილებს მუცელში და სისხლდენას საშოდან. გამოვლენილია ნაყოფის ბრადიკარდია, გვიანი გულისცემის სიხშირის შენელებით. ნაყოფს აღმოაჩნდა ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი მკავა-ტუტოვანი მახასიათებლები, გარდა:

ა) მეტაბოლური აციდოზი.

ბ) რძემკავის დაგროვება;

გ) ნაყოფის სისხლის PH შემცირება;

დ) PCO<sub>2</sub> მომატება;

\*ე) რესპირატორული ალკალოზი;

1857. შეაარჩიეთ არასწორი წინადადება, რომელიც ახასიათებს შეტევებს მშობიარობის აქტიურ ფაზაში:

ა) შეტევები გრძელდება 45 წამი.

ბ) შეტევები აღიძვრება ყოველ 2-4 წუთში ერთხელ;

\*გ) შეტევების დროს საშვილოსნოს ქველა სეგმენტი სქელდება;

დ) შეტევები იწვევენ საშვილოსნოს ყელის გახსნას;

ე) შეტევის დროს საშვილოსნოს ღრუში წნევა აღწევს 40მმ;

1858. 15 წლის პირველორსული, აღენიშნება პრეეკლამპსია, აქვს მეკონიალური წყლები. შეტევები ყოველ წუთში, ყოველი შეტევის დროს წარმოიქმნება ნ.გ.-ის ცემა შენელება. ჩამოთვლილი ცვლილებებიდან რა ექნება ნაყოფს?

\*ა) PO<sub>2</sub>-ის შემცირება.

ბ) ბიკარბონატების შემცირება სისხლში;

გ) PCO<sub>2</sub>-ის გაზრდა;

დ) PH-ის გაზრდა;

ე) რძე-მკავის შემცირება სისხლში;

1859. სამეანო მაშების დადებისათვის აუცილებელია ყველა ჩამოთვლილი პირობა, გარდა:

ა) ნაყოფის თავის მდებარეობის დაზუსტება.

ბ) სანაყოფე გარსების გახევა;

\*გ) კეფით წინამდებარეობის წინა სახე;

დ) შარდის ბუშის დაცლა;

ე) ყელის სრული გახსნა;

1860. ორსულობის ვაღამდე მიუგანლობის რისკ-ფაქტორებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

ა) მრავალნაყოფიანობა.

\*ბ) ანამნეზში 5 მშობიარობაზე მეტის არსებობა;

გ) საშვილოსნოს დიაგნოსტიკური პათოლოგია;

დ) დღეში 10 სიგარეტზე მეტი მოწევა;

ე) ქალის ასაკი 30 წელზე ზემოთ;

1861. მშობიარე წყლებდაღვრილი, რომელიც იმყოფებოდა მშობიარობის აქტიურ ფაზაში, საშვილოსნოს ყელის გახსნა : 5 სმ-ზე. მეორდება ნაყოფის გულისცემის ღრმა შენელება. გადაწყვეტილია საკეისრო კვეთა. ყველა ჩამოთვლილი ღონისძიებები ნაჩვენებია მუცლადმყოფი ნაყოფის რენიმიაციისათვის. რომელი უნდა ჩატარდეს საკეისრო კვეთის წინ, გარდა:

ა) კანქვეშ ტერბუტალინის შეყვანა.

ბ) ამნიონინფუზია;

გ) უანგბადის ნიღბის გამოყენება;

\*დ) პაციენტის დაწევა ზურგზე;

ე) ვენაში შეყვანილი სითხის მოცულობის გაზრდა;

1862. შეარჩიეთ საშოდან სისხლდენის ყველაზე უფრო ხშირი მიზეზი, რომელიც ართულებს ნაადრევ მშობიარობას;

ა) პლაცენტის აცლა.

ბ) პლაცენტის წინმდებარეობა;

\*გ) საშვილოსნოს ყელის გახსნა;

დ) ენდოცერვიკალური პოლიპი;

ე) საშოს გახევა;

1863. ადრეული ნიშნები ნაადრევი მშობიარობის შეიცავს ყველა მითითებას, გარდა;

ა) მენჯის ღრუში მეწოლის შეგრძნების მომატება.

\*ბ) ყელის გახსნა 4 სმ-ზე;

გ) წელის ტკივილი;

დ) მიომეტრიუმის შეკუმშვის გაძლიერება;

ე) გამონადენი საშოდან;

1864. საკეისრო კვეთა ნაჩვენებია ყველა შემთხვევაში, გარდა;

ა) ჭიპლარის გამოფარდნა.

- \*ბ) საშვილოსნოს ყელის ცირკულარული ნაკერი;
- გ) ნაყოფის ჰიპოქსია;
- დ) სამეანო მამების დადების წარუმატებელი ცდა;
- ე) ანამნეზში საკეისრო კვეთა;

1865. ქალი უჩვიის მტკივნეულ შეგვეებს 2-3 წუთში ერთხელ, ყელი გახსნილია 2-3 სმ და ნაყოფის თავი მენჯის შესავალშია. 2 საათის შემდეგ ყელი 5-6 სმ-ზე გაიხსნა, თავი ვიწრო ნაწილშია, ქალი ითხოვს გაუტკივარებას. შეარჩიეთ ანესთეზია.

- \*ა) ეპიდურული ანესთეზია.
- ბ) კუნთებში მორფინის შეყვანა;
- გ) შურგის ტვინის ანესთეზია;
- დ) სასქესო ნერვის ბლოკადა;

1866. ქალი იმყოფება წინასამშობიარო პალატაში. მანამდე ანესთეზია არ გამოუყენებიათ. თავი მენჯის გამოსავალშია და ჩანს ყოველი ჭინთვისას. შეარჩიეთ გაუტკივარება;

- ა) კუნთებში მორფინის შეყვანა.
- ბ) შურგის ტვინის ანესთეზია;
- \*გ) პულენდალური ანესთეზია;

ბავშვთა გინეკოლოგია; დისფუნქციური სისხლდენები საშვილოსნოდან; ამენორეა; ტკივილების მუცლის ქვედა მესამედში; საშვილოსნოს გარე ორსულობა

1867. ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებიდან, რომელს სლევს თან ჰერმაფროდიტიზმი:

- ა) X ქრომოსომების სტრუქტურული დარღვევები.
- \*ბ) გონადების შერეული დისგენეზია;
- გ) სუაიერის სინდრომი;
- დ) გონადების ნამდვილი დისგენეზია;
- ე) ანდროგენებისადმი არამგრძობილობის სინდრომი;

1868. დედამ სამედიცინო დაწესებულებაში მოიყვანა 15 წლის გოგონა ეჭვით პათოლოგიურ სისხლდენაზე. პირველი მენსტრუაცია მოუვიდა 18 თვის წინ. ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული:

- ა) ჰიპოთალამო-ჰიპოფიზარული კომპლექსის უმწიფრობა.
- ბ) სისხლდენა გამოწვეული პროგესტერონის დონის მკვეთრი დაკლებით;
- \*გ) ანოვულატორული სისხლდენა;
- დ) უმნიშვნელო გამონადენი ციკლის შუაში;
- ე) რეგულარული ციკლი ჭარბი გამონადენით;

1869. გესტიკულარული ფემინიზაციის სინდრომი. ამოარჩიეთ მართებული მტკიცება.:

- ა) ბემით ჩამოთვლილი პასუხები არ არის მართებული.
- ბ) სქესობრივი მომწიფება ფერხდება ენდოგენური ჰორმონების არარსებობის გამო;
- გ) გონადებში დისგერმინომის, ან სხვა წარმონაქმნების განვითარების რისკი მაღალია 20 წლის ასაკამდე;
- \*დ) გონადების ამოკვეთა არ ხდება სრულ სქესობრივ მომწიფებამდე;
- ე) ქალის სისხლი შრატი შეიცავს იმდენივე ტესტოსტერონს, რამდენსაც მამაკაცის სისხლის შრატი, რაც განაპირობებს ჰირსუიტიზმს;

1870. 18 წლის ქალს დიდი ხანია აქვს ჩვილები მტკივნეულ მენსტრუაციაზე, რომელიც გრძელდება 5-7 დღე. იგი ამტკიცებს, რომ ბოლო მენსტრუაცია, რომელიც იყო 5 კვირის წინ, იყო ჭარბი. ვაგინალური გასინჯვით, შინაგანი ორგანოები პათოლოგიის გარეშეა. მკურნალობის დაწყებისათვის საჭიროა:

- ა) დაენიშნოს კონტრაცეპტივები და ანტიპროსტაგლანდინური პრეპარატები.
- ბ) გამოირიცხოს ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქცია;
- \*გ) გამოირიცხოს ორსულობა;
- დ) საშვილოსნოს ყელის გაგანიერება და ღრუს გამოფხეკა;

1871. კვეცხსავალი მილის ორსულობას ახასიათებს ყველა ჩამოთვლილი სინდრომი, გარდა:

- ა) ტკივილი მხრის არეში.
- \*ბ) რეკტალური სისხლდენა;
- გ) მენსტრუაციული ციკლის გამოტოვება;
- დ) საშოსმხრივი სისხლდენა, ან უმნიშვნელო გამონადენი;
- ე) ცალმხრივი ტკივილები მუცლის ქვედა არეში;

1872. როგორია ექტოპიური ორსულობის განმეორების ალბათობა:

- ა) 25%.
- ბ) 20%;
- \*გ) 12%;
- დ) 6%;
- ე) 3%;

1873. როგორი გაფრთხილება უნდა მიეცეს მშობელს, როდესაც მათ შვილს აქვს ილიოპათიური ნაადრევი სქესობრივი მომწიფება:

- \*ა) არ არსებობს ეფექტური თერაპია.
- ბ) დაჩქარებული გონებრივი განვითარება;

- გ) მომავალში შესაძლებელია უნაყოფობა;
- დ) ლაგვადებას თან სდევს ნაადრევი სქესობრივი აქტიურობა;
- ე) გოგონა ყოველთვის იქნება დაბალი, თავის თანატოლებთან შედარებით;

1874. საშვილოსნოდან დისფუნქციური სისხლდენის ყველაზე ხშირი მიზეზია:

- ა) ფონ-ვილლერბრანტის დაავადება.
- ბ) სისტემური წითელი მგლურა;
- გ) ცერვიციტი;
- \*დ) ანოვულაცია;
- ე) ენდომეტრიუმის პოლიპები;

1875. რომელი ქვემოთჩამოთვლილი მდგომარეობა ექვემდებარება სტიმულაციას კლომიფენის ციკრატით:

- ა) კოლმენის სინდრომი.
- \*ბ) ფსიქოგენური ამენორეა;
- გ) რეზისტენტული საკვერცხეების სინდრომი;
- დ) აშერმანის სინდრომი;
- ე) გონალების დისგინემია;

1876. 29 წლის ქალი უჩივის მუდმივ და ყრუ ხასიათის ტკივილებს მუცლის ქვედა არეში. ანამნეზში: ოლიგომენორეა და რამოდენიმე ჰოსპიტალიზაცია სუიციდალურ მცდელობებთან დაკავშირებით. ართრიტის, ასთმის, კუჭის წყლულის და ღებრესიის მკურნალობის მიზნით ლეზულობს მედიკამენტებს დიდი რაოდენობით. ჩამოთვლილთაგან, რომელია ტკივილის გამომწვევი მიზეზი:

- \*ა) ფსიქოგენური მიზეზი.
- ბ) შეხორცებები მუცლის ღრუში;
- გ) ოვულაცია;
- დ) საშვილოსნოს მიომა;
- ე) ენდომეტრიოზი;

1877. ქვემოთჩამოთვლილი მდგომარეობებიდან, რომელი გვხვდება ახალშობილ გოგონებში უფრო ხშირად და არ საჭიროებს მკურნალობას:

- ა) ანუსის ექტოპია.
- ბ) ურეთრის გამოვარდნა;
- \*გ) საშოდან ლორწოვანი გამონადენი;
- დ) სასირცხვო ბაგეების შეხორცება;
- ე) გაღილებული კლიტორი;

1878. ექტოპიური ორსულობის სიხშირის მრდა დაკავშირებულია ყველა ჩამოთვლილთან, გარდა:

- ა) კვერცხსავალი მილის დივერტიკული.
- ბ) საშვილოსნოს შიდა კონტრაცეპტივი (სპირალი);
- \*გ) აღენომიოზი;
- დ) ქრონიკული სალპინგიტი;
- ე) ენდომეტრიოზი;

1879. საკვერცხის სიმსივნე მოზარდებში უმეტესად ჩნდება:

- ა) ცელომური ეპითელიუმისგან.
- ბ) არაჩანასახოვანი უჯრედებისგან;
- გ) ჩანასახოვანი უჯრედებისგან და არ გამოყოფენ ჰორმონებს;
- დ) ცელომური ეპითელიუმისგან და გამოყოფენ ჰორმონებს;
- \*ე) ჩანასახოვანი უჯრედებისგან და გამოყოფენ ჰორმონებს;

1880. რამოდენიმე წლის განმავლობაში ქალი მიმართავს ექიმს ჩივილებით: ტკივილებზე მუცლის ქვედა არეში; პირველი დიაგნოზი ენდომეტრიოზია. უეფექტო კონსერვატიული ქირურგიული მკურნალობის შემდეგ, ქალი დათანხმდა გოტალურ, აბლომინალურ ჰისტერექტომიასა და ორმხრივ სალპინგოფორექტომიაზე. ოპერაციამ ჩაიარა გართულებების გარეშე. 8 თვის შემდეგ, ქალმა კვლავ მიმართა ექიმს ჩივილებით ტკივილზე მუცლის ქვედა არეში და ფერდქვეშა არეში. გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა წარმონაქმნი მენჯის ლუში, მარჯვნივ. რომელი დიაგნოზია მართებული?

- \*ა) ღარჩენილი საკვერცხის სინდრომი.
- ბ) თირკმლის დაწვევა (თიკრკმლის მენჯის ღრუში);
- გ) თირკმლის სიმსივნე;
- დ) აპენდიციტი;
- ე) შეხორცებები მენჯის ღრუში;

1881. გოგონას აღენიშნება განუწყვეტელი გამონადენი საშოდან. სავარაუდო მიზეზია:

- ა) შარდსაწვეთის ექტოპია.
- ბ) საშოს გრავმა;
- გ) ჰორმონალური პრეპარატების მიღება;
- დ) ჰელმინთოზი;
- \*ე) უცხო სხეული საშოში;

1882. რა შემთხვევაში უნდა ჩაუკარდეს გადაუღებელი ჩარევა მოზარდს ამენორეით:

ა) ანდროგენების მიმართ უგრძობელობის სინდრომი.

\*ბ) საქალწულე აპკის შეხორცება;

გ) საშვილოსნოს ანთოზია;

დ) გერნერის სინდრომი;

ე) საშოს აგენეზია;

1883. ამოარჩიეთ არასწორი მტკიცება მტკივნეული შეტევების შესახებ:

ა) სისხლდენა საშოდან თანმხლები ტკივილებით მუცლის ქვედა არეში, როგორც წესი, ვითარდება სასქესო ორგანოების პათოლოგიას.

\*ბ) პირველადი დისმენორეის დროს ტკივილი ცალმხრივია და მას თან სდევს სპეციფიური სტრუქტურული, ან ორგანული ღარღვევები;

გ) შეტევითი ხასიათის რითმული ტკივილები, როგორც წესი, გამოწვეულია წნევის მომატებით შინაგან ღრუ ორგანოებში, ან კუნთის შეკუმშვით;

დ) მუცლის ფარის გავრცობილი გაღიზიანებისას, წარმოიქმნება გენერალიზებული აბლომინალური ტკივილი;

ე) მწვავე პათოლოგიის დროს ტკივილი იწყება უეცრად;

1884. თირკმელზედა ჯირკვლის თანდაყოლილ ჰიპერპლაზიასთან მიმართებაში მართებულია ყველა ჩამოთვლილი დებულება გარდა:

ა) უმეტეს შემთხვევაში, თირკმელზედა ჯირკვლის თანდაყოლილი ჰიპერპლაზიის მიზეზია 21-ე ჰიდროქსილაზას უკმარისობა.

ბ) ეს დაავადება ვირილიზაციის ხშირი მიზეზია;

გ) შინაგანი სასქესო ორგანოები ნორმალურია;

\*დ) თირკმელზედა ჯირკვლის თანდაყოლილი ჰიპერპლაზია გაივლის თვითნებურად და იშვითად საჭიროებს ჩარევას;

ე) ავადობა შეადგენს 1:5000 დაბადებულთან;

1885. პათოლოგიურ სისხლდენას, რომელიც ვითარდება მენსტრუალური ციკლის ფოლიკულური ფაზის შემცირებისას ეწოდება:

ა) მეტრორაგია.

ბ) ანოვულატორული სისხლდენა;

\*გ) პოლიმენორეა;

დ) მენომეტრორაგია;

ე) მენორაგია;

1886. ექტოპიური ორსულობის დროს რეკომენდირებულია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

ა) გამოჭყლეტა.

ბ) მილის სეგმენტის რეზექცია, რომელიც შეიცავს განაყოფიერებულ კვერცხუჯრედს;

გ) სიგრძივი სალპინგოსტომიები;

\*დ) ოვარიექტომია;

ე) სალპინგექტომია;

1887. რომელი დაავადებისთვისაა დამახასიათებელი დისფუნქციური სისხლდენა:

ა) ლეიკოზი.

\*ბ) საკვერცხეების პოლიკისტოზი;

გ) ბუშნამქერი;

დ) ენდომეტრიუმის პოლიპი;

ე) თრომბოციტოპენია;

1888. რომელი ჩამოთვლილი დაავადებისას არის აუცილებელი გონალების ამოკვეთა დიაგნოზის დასმისთანავე:

\*ა) არც ერთი შემთხვევაში.

ბ) კოლმენის სინდრომი (46XX);

გ) რემისტენგული საკვერცხეების სინდრომი;

დ) თერნერის სინდრომი (45 X0);

ე) ანდროგენებისადმი უგრძობელობის სინდრომი (46XY);

1889. ქალს დაუდგინეს პროგრესული ექტოპიური ორსულობა (მცირე ვადის) მარცხენა ფალოპის მილის შუა ნაწილში; ამ შემთხვევაში მკურნალობისთვის გამოდგება ყველაჩამოთვლილი, გარდა:

ა) მკურნალობა მეტოტრექსატით.

ბ) მარცხენა მილის შუა ნაწილის რეზექცია, შემდგომი ანასტომოზით;

\*გ) მარცხენამხრივი სალპინგოექტომია;

დ) სიგრძივი სალპინგოსტომია, ლაპარასკოპიისას;

ე) სიგრძივი სალპინგოსტომია, ლაპარატომიისას;

1890. რომელი გერმინი მიესადაგება მენსტრუაციას ყოველ 35 დღეში, სისხლის დანაკარგით 100მლ.

\*ა) არც ერთი.

ბ) ოლიგომენორეა;

გ) მენორაგია;

დ) პოლიმენორეა;

ე) მეტრორაგია;

ვ) მენომეტრორაგია;

1891. ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებიდან რომელია მართებული, თუ მილის ორსულობა ლოკალიზებულია ერთ მხარეს, ხოლო ყვითელი სხეული საკვერცხეში საწინააღმდეგო მხარეს:

ა) მოპირდაპირე კვერცხსავალი მილი გაუვალია ფიბრიალურ ნაწილში;

- ბ) გაუქვალა კვერცხსავალი მილის ინტენსივობა ნაწილი;
- \*გ) განხორციელდა ბლასტოციტის შიდა ან გარეთა მიგრაცია;
- დ) მილი გაუქვალა იმ მხარეს, სადაც განლაგებულია ყვითელი სხეული;

1892. აშერმანის სინდრომის დროს შეხორცების წარმოქმნას ჩვეულებრივ წინ უძღვის ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი გარდა შემდეგისა:

- ა) ტუბერკულოზი;
- ბ) სისხლდენა აბორტის შემდეგ;
- გ) ცერვიკალური არხის და საშვილოსნოს ღრუს გამოფხეკა;
- \*დ) ენდომეტრიოზი;
- ე) მშობიარობა;

1893. მენსტრუაციის დაწყება დამოკიდებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტორზე, გარდა შემდეგისა:

- ა) საკვერცხის სტეროიდული ჰორმონები.
- \*ბ) ფალოპის მილების განვლადობა;
- გ) გონადოტროპინები;
- დ) ენდომეტრიუმის მგრძობელობა საკვერცხის სტეროიდული ჰორმონების მიმართ;
- ე) გონადოლიბერინი;

1894. პროგესტინებისათვის დამახასიათებელია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ეფექტი გარდა შემდეგისა:

- \*ა) უჯრედებში ესტროგენების რეცეპტორების სინთეზის გაძლიერება.
- ბ) უზრუნველყოფს ანტიმიტოზურ მოქმედებას;
- გ) ენდომეტრიუმის ორგანიზაცია;
- დ) ესტროგენების გავლენის შესუსტება სამიზნე უჯრედებზე;
- ე) ეფექტურობა ენდომეტრიუმის ჰიპერპლაზიის დროს;

1895. ქალს დიაგნოზით: ეჭვი ექოტიპურ ორსულობაზე, ჩაუტარდა საშვილოსნოს ღრუს დიაგნოსტიკური გამოფხეკვა შემდეგში ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევით. ჩამოთვლილთაგან რომელი პათოლოგიური მდგომარეობა გამოიხატება ჰისტომორფოლოგიის აუცილებლობას:

- ა) ქრონიკული ენდომეტრიტი.
- \*ბ) პროლიფერაციული ენდომეტრიუმი;
- გ) არ იას-სტელას რეაქცია;
- დ) ჰიპერსეკრეტორული ენდომეტრიუმი;
- ე) დეციდუალური ქსოვილი ბუსუსების გარეშე;

1896. ყველაზე მუსტი მეთოდი ექოტიპური ორსულობის დიაგნოსტიკისათვის:

- ა) მცირე მენჯის ორგანოების ულტრაბგერითი გამოკვლევა.
- ბ) ქორიონალური გონადოტროპინის სერიული განსაზღვრა;
- \*გ) ლაპარასკოპია;
- დ) ენდომეტრიუმის ბიოფსია;
- ე) კულოცენგები;

1897. თვლიან, რომ მცირე მენჯის ღრუს ორგანოთა ანთებითი დაავადებები მრდის გარე ორსულობის რისკს, რადგანაც იწვევს ყველა შემდეგ დარღვევას გარდა:

- ა) ცრუ გზის ფორმირება მილში.
- ბ) მილის დავიწროება;
- \*გ) მილი დისტალური ნაწილის დახშობა; /ჰიდროსალპინგსი/;
- დ) წამწამოვანი ეპითელიუმის ფუნქციის დარღვევა;
- ე) საშვილოსნოს მილის კელის ფიბროზი;

1898. კვერცხსავალი მილის ორსულობის განვითარების სავარაუდო მიზეზია, ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი გარდა შემდეგისა:

- \*ა) საშვილოსნოს მიოზა.
- ბ) განაყოფიერებული კვერცხუჯრედის მიგრაცია;
- გ) მილის ანასტომოზი;
- დ) შეხორცებები დანაშაგების არეში;
- ე) მცირე მენჯის ღრუს ორგანოების ანთებითი დაავადებები;

1899. შეარჩიეთ შესაბამისი ეტიოლოგიური ფაქტორი საშვილოსნოდან დისფუნქციური სისხლდენის დროს მოზარდ გოგონებში:

- ა) 21-გიდროქსილაზის დეფექტი.
- ბ) ბულომური ეპიდერმოლიზი;
- \*გ) ჰიპოთალამო-ჰიპოფიზარული სისტემის უმწიფარობა;

1900. რომელი ეტიოლოგიური ფაქტორი შეესაბამება გეგეროსექსუალურ ნაადრევ სქესობრივ მომწიფებას?

- \*ა) 21-გიდროქსილაზის დეფექტი.
- ბ) ბულომური ეპიდერმოლიზი;
- გ) ჰიპოთალამო-ჰიპოფიზარული სისტემის უმწიფარობა;

1901. რომელი ეტიოლოგიური ფაქტორი შეესაბამება თირკმელზედა ჯირკვლის თანდაყოლილ ჰიპერპლაზიას?

- \*ა) 21-გიდროქსილაზის დეფექტი.

- ბ) ბულოზური ეპიდემოლოგია;
- გ) ჰიპოთალამო-ჰიპოფიზარული სისტემის უმწიფარობა;

1902. შეარჩიეთ ყველაზე შესაფერისი ლაბორატორიული გამოკვლევა: 24 წლის ქალმა, რომელსაც აღრე ორსულობა არ ჰქონდა, დაუეხმძიმების მიზნით შეწყვიტა ორალური კონტრაცეპტივების მიღება. პრეპარატის ბოლო მიღების შემდეგ ჰქონდა ერთი მენსტრუაცია, შემდეგ 6 თვის განმავლობაში ამენორეა.

- ა) სისხლში ტესტოსტერონის შემცველობის განსაზღვრა.
- ბ) თირეოტროპული ჰორმონის შემცველობის განსაზღვრა;
- გ) პროგესტერონის სინჯი;
- \*დ) პროლაქტინის კონცენტრაციის განსაზღვრა სისხლში;
- ე) გონადოტროპინის ღონის განსაზღვრა;

1903. შეარჩიეთ ყველაზე შესაფერისი ლაბორატორიული გამოკვლევა: 24 წლის პაციენტი პირველი მშობიარობის შემდეგ მიმართავს ექიმს ჩვილით - ამენორეა 6 თვის განმავლობაში, პირველი მშობიარობა დამთავრდა საკეისრო კვეთით, ჩვენება: პლაცენტის აცლა, ნაყოფის ასფიქსია, სისხლის დანაკარგი 2000მლ., სისხლის შედელების დარღვევის გამო.

- ა) სისხლში ტესტოსტერონის განსაზღვრა.
- ბ) თირეოტროპული ჰორმონის შემცველობის განსაზღვრა;
- გ) პროგესტერონის სინჯი;
- დ) პროლაქტინის კონცენტრაციის განსაზღვრა სისხლში;
- \*ე) გონადოტროპინის ღონის განსაზღვრა;

1904. შეარჩიეთ ყველაზე შესაფერისი ლაბორატორიული გამოკვლევა: 24 წლის ქალი, რომელსაც ჰქონდა ნორმალური მენსტრუალური ციკლი, მიმართავს ჩვილით: არარეგულარულ მენსტრუალურ ციკლზე, პროლაქტინის შემცველობა სისხლში მომატებულია:

- ა) სისხლში ტესტოსტერონის შემცველობის განსაზღვრა
- \*ბ) თირეოტროპული ჰორმონის შემცველობის განსაზღვრა;
- გ) პროგესტერონის სინჯი;
- დ) პროლაქტინის კონცენტრაციის განსაზღვრა სისხლში;
- ე) გონადოტროპინის ღონის განსაზღვრა;

1905. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი ლაბორატორიული მაჩვენებელი შეესაბამება ანოვულაციას?

- \*ა) არც ერთი ჩამოთვლილი;
- ბ) ქორიონ-გონადოტროპინის ღონის მომატება;
- გ) ჰემატოკრიტის შეცვლა;
- დ) პროგესტერონის ღონის მომატება;
- ე) თრომბოციტოპენია;

1906. რომელი ლაბორატორიული მაჩვენებელი შეესაბამება ექტოპიურ ორსულობას და ბუშტანაქერს.

- ა) არც ერთი ჩამოთვლილი;
- \*ბ) ქორიონ-გონადოტროპინის ღონის მომატება;
- გ) ჰემატოკრიტის შეცვლა;
- დ) პროგესტერონის ღონის მომატება;
- ე) თრომბოციტოპენია;

1907. ფონ-ვილბერანდის დაავადებას რომელი ლაბორატორიული მაჩვენებელი შეესაბამება:

- ა) არც ერთი ჩამოთვლილი;
- ბ) ქორიონ-გონადოტროპინის ღონის მომატება;
- გ) ჰემატოკრიტის შეცვლა;
- დ) პროგესტერონის ღონის მომატება;
- \*ე) თრომბოციტოპენია;

მცირე მენჯის ორგანოების ანთება. ვულვოვაგინიტი. სქესობრივი გზით გადადები დაავადებები

1908. გუბოვარიული აბსცესის პათოგენების ეტაპი შეიძლება იყოს:

- ა) მიომეტრიტი.
- ბ) ცერვიციტი;
- \*გ) ენდოსალპინგიტი;
- დ) ენდომეტრიტი;
- ე) პერიჰეპატიტი;

1909. ვაგინიტის გამომწვევი რომელი მიკროორგანიზმით ინფიცირება მოითხოვს ორივე პარტნიორის მკურნალობას:

- ა) დოდერლაინის ჩხირი.
- ბ) უბრალო ჰერპესის ვირუსი;
- გ) ბეგა-სტრეპტოკოკი;
- დ) კანდიდა;
- \*ე) ტრიქომონიაზი;

1910. ჩამოთვლილთაგან რა არ არის სწორი ადამიანის პაპილომა ვირუსის მიმართ?

- ა) დაზიანებული უბნები ძმარმეკავას გემოქმედებით თეთრი ფერისა ხდება და კოლპოსკოპით ჩანს.

- ბ) ეს ვირუსი იწვევს კონდილომების განვითარებას.
- გ) კოილოციტები (ან ჰალო-უჯრედები) პათოგნომურია ამ ინფექციისათვის;
- \*დ) სქესობრივი აქტი არის ინფიცირების ერთადერთი შესაძლო გზა;
- ე) ალაზიმინის პაპილომა ვირუსი (ტიპი 16 და 18) ზრდის საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკს;

1911. ჩამოთვლილთაგან რას არ აქვს კავშირი ვენერულ გრანულომასთან?

- \*ა) გამომწვევი განსაკუთრებულად მგრძობიარეა პენიცილინის მიმართ.
- ბ) ხშირად ვითარდება ლიმფალენოპათია;
- გ) ღარის სიმპტომი შეინიშნება დაავადების მეორე სტადიაში;
- დ) შეიძლება თან ახლდეს გავრცობილი ანოგენიტალური დამიანებები;
- ე) იწვევს ჩჰლამიდია გრაცჰომაგის;

1912. ჩამოთვლილთაგან რომელი სინჯები აღასკურებენ მენჯის ორგანოების ანთებად დაავადებებს:

- ა) მცირე მენჯის ღრუს ორგანოების ულტრაბგერითი გამოკვლევა.
- \*ბ) ლაპარასკოპია;
- გ) კულდოცენტები;
- დ) საშვილოსნოს ყელის ლორწოს ნაცხის შეღებვა გრამის მიხედვით;
- ე) ლეიკოციტების რაოდენობის განსაზღვრა;

1913. ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი ზრდის მენჯის ორგანოების ანთებადი დაავადებების რისკს, გარდა:

- ა) საშვილოსნოსშიდა კონტრაცეპტივების გამოყენება.
- ბ) ჰისტეროსალპინგოგრაფია;
- \*გ) პერორალური კონტრაცეპტივების მიღება;
- დ) სამელიცინო აბორტი;
- ე) სქესობრივი ცხოვრების დაწყება 15 წლის ასაკში;

1914. ჩამოთვლილთაგან რომელ გამონათქვამშია ლაპარაკი ვულვის ჰიპერპლაზიურ დისკროფიაზე:

- ა) მკურნალობისას ეფექტურია 15 პროგესტერონის მალამო.
- \*ბ) მკურნალობა: ლორწოვან გარსზე ფტორირებულ-სტეროიდებიანი მალამოს წასმა;
- გ) ეტიოლოგიური ფაქტორია \_ უბრალო ჰერპესის ვირუსი-2;
- დ) ამ დაავადების დროს ვითარდება ვულვის სტრუქტურების გამოხატული ატროფია;
- ე) მკურნალობა: ტესტოსტერონის მალამოს ადგილობრივი გამოყენება;

1915. შეარჩიეთ არასწორი მტკიცება ვულვის ანაგომიაზე.

- ა) მცირე სასირცხო ბაგეებს არ გააჩნიათ თმის ფოლიკულები.
- \*ბ) ვულვა დაფარულია მხოლოდ გარქოვანებულ ეპითელიუმით;
- გ) როგორც მცირე (სკენეს). ასევე კარიბჭის დიდი (ბართოლინის). ჯირკვლები იხსნება სამოს კარიბჭეში;
- დ) ლიმფის გაღაღენა ხორციელდება საზარდელის მედაპირული ლიმფური კვანძების ჯგუფის საშუალებით;
- ე) ვულვის ინერვაციაში მონაწილეობს შორისის ბარძაყ-სასქესო და თეძო-საზარდელის ნერვები;

1916. ყველა ჩამოთვლილი გამოკვლევა შეიძლება დაგვეხმაროს მენჯის ღრუს ორგანოების ანთების დიაგნოზის დასადგენად, გარდა:

- ა) რექტალური გამოკვლევა.
- \*ბ) ჰისტეროსალპინგოგრაფია;
- გ) კულდოცენტები;
- დ) ულტრაბგერითი გამოკვლევა;
- ე) ლაპარასკოპია;

1917. ყველა ჩამოთვლილ დაავადებას შეუძლია გამოიწვიოს მენჯის ღრუს ორგანოების ანთებადი დაავადებები, გარდა:

- ა) შისტოსომოზი.
- ბ) სარკოიდოზი;
- გ) აპენდიციტი;
- \*დ) ათაშანგი;
- ე) კრონის დაავადება;

1918. ჩამოთვლილთაგან რომელი ტესტი გამოიყენება (შანკრიდის). Haemophilus Ducrey-ის გამოსავლენად:

- ა) არცერთი ჩამოთვლილთაგანი.
- ბ) სისხლიან აგარზე კულტივირება;
- \*გ) წყლულის ფუზიდან აღებული ექსუდატის შეღებვა გრამის წესით;
- დ) AT ტიპის რეაგენტზე არასპეციფიური ტესტი;
- ე) დამიანებული უბნებიდან მასალის ბნელ არეში გამოკვლევა;

1919. ამოარჩიეთ მტკიცება, რომელიც არ ესადაგება ბოქვენის ტილის აღწერას.

- ა) ის იწვევს ინგენსიურ ქავილს.
- ბ) ის იწვევს კონტაგიოზურ დაავადებას;
- \*გ) ის ცდილობს გაასველებს გასასველები კვერცხების დასადებად;
- დ) მისი გავრცელების არე ძირითადად შემოფარგლულია სხეულის თმიანი უბნებით;
- ე) ეს ნელა მოძრავი მწვერია;

1920. მენჯის ორგანოების ანთებადი დაავადებების ცნობილი გართულებები მოიცავენ ყველა ჩამოთვლილს, გარდა:

- ა) ჰიდროსალპინქსი.
- ბ) დისპარეუნია.
- გ) მცირე მენჯის არეში შეხორცებები;
- დ) ექტოპიური ორსულობა;
- \*ე) ენდომეტრიოზი;

1921. შეარჩიეთ სამკურნალო საშუალებათა კომბინაცია, რომელიც არ გამოდგება მენჯის ორგანოების მწვავე ანთებადი პროცესის სამკურნალოდ:

- ა) ლოქსიციკლინი-მეტრონიდაზოლი.
- ბ) კლინდამიცინი-გენტამიცინი;
- გ) ამპიცილინი-ტეტრაციკლინი;
- დ) ლოქსიციკლინი-ცეპოქსიგინი;
- \*ე) კლინდომიცინი-მეტრონიდაზოლი;

1922. 18 წლის ქალი შემოვიდა კლინიკაში მწვავე ტკივილებით მუცლის ქვემო არეში, რომელიც დაეწყო მენსტრუაციიდან ერთი კვირის შემდეგ. მენსტრუაცია დაეწყო 7 დღის დაგვიანებით. ქალი ეწვეა აქტიურ სქესობრივ ცხოვრებას და იყენებს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს. გემპერაგურა 37,4 გრადუსი, ლეიკოციტოზი  $12.4 \times 10^9$  ლ პალპაციით ტკივილები ვრცელდება მარჯვნივ მუცლის ზემო ნაწილამდე. დიფერენციული დიაგნოზი გარდება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ დაავადებასთან, გარდა:

- ა) მწვავე სალპინგიტი.
- \*ბ) მენჯის ორგანოების ტუბერკულოზი;
- გ) აპენდიციტი;
- დ) ფიცხიუ-კორგისის სინდრომი;
- ე) ექტოპიური ორსულობა;

1923. ბაქტერიული ვაგინოზი ხასიათდება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი გამოვლინებით, გარდა:

- ა) მეტრონიდაზოლით მკურნალობის შემდეგ კარგი ეფექტი.
- ბ) კალიუმის ტუტის დაღებითი ტესტი;
- \*გ) გამოხატული ანთებითი რეაქციით;
- დ) ღერძული უჯრედები;
- ე) PH 5.0 ;

1924. Haemophilus Ducrey-სთვის რომელიც გადაეცემა სქესობრივი გზით, დამახასიათებელია:

- ა) უმტკივნეულო მკერივი შანკრი.
- \*ბ) რბილი შანკრი;
- გ) ბრტყელი კონდილომა;
- დ) წვეტიანი კონდილომა;
- ე) მცირე ზომის პაპულა ჭიპის ფორმის ჩაღრმავებით;

1925. პაპილომა ვირუსი 6 ან 11 ტიპის ინვაზიასთვის დამახასიათებელია:

- ა) უმტკივნეულო მკერივი შანკრი.
- ბ) რბილი შანკრი;
- გ) ბრტყელი კონდილომა;
- \*დ) წვეტიანი კონდილომა;
- ე) მცირე ზომის პაპულა ჭიპის ფორმის ჩაღრმავებით;

1926. პაციენტი \_ მრავალჯერ ნამშობიარები ქალი, მოვიდა მიღებაზე ჩივილებით \_ გამონადენი საშოდან. ორი კვირის წინ მას ჰქონდა რძიანა. უჩივის აგრეთვე უსიამოვნო სუნს საშოდან, რომელიც სქესობრივი აქტის შემდეგ ძლიერდება. შეარჩიეთ შესაფერისი დიაგნოსტიკური ტესტი:

- ა) კულტურა სისხლიან აგარზე.
- ბ) ფლუორესცენტიანი ნიშნული მონოკლონური ანტისხეულები;
- \*გ) ნატიური პრეპარატი ფიზიოლოგიურ ხსნარში;
- დ) ბნელ არეში გამოკვლევა;
- ე) ექსულატის შეღებვა გრამის წესით;

1927. 19 წლის სექსუალურად აქტიური ქალი უჩივის პერიოდულად ტკივილებს მუცლის ქვედა არეში სამი კვირის მანძილზე. გემპერაგურა 37,5 გრადუსი. დიდი რაოდენობით არაგამაღიზიანებელი მღვრიე გამონადენი საშოდან. მარდვა მტკივნეული. შეარჩიეთ შესაფერისი დიაგნოსტიკური ტესტი:

- ა) კულტურა სისხლიან აგარზე.
- \*ბ) ფლუორესცენტიანი ნიშნული მონოკლონური ანტისხეულები;
- გ) ნატიური პრეპარატი ფიზიოლოგიურ ხსნარში;
- დ) ექსულატის შეღებვა გრამის წესით;

ჰირსუტიზმი, უშილოზა, მენოპაუზა, შარდის შეუკავებლობა

1928. უნაყოფობის ყველაზე სერიოზულ მიზეზს, რომელიც პოსტკოიტალური ტესტის ჩატარებისას ვლინდება, წარმოადგენს:

- ა) ყვითელი სხეულის დისფუნქცია.
- ბ) სქესობრივი აქტის არააღქვავადი გეჟნიკა;

- გ) საშვილოსნოს მიღების დისფუნქცია;
- დ) ცერვიკალური ლორწოს პათოლოგიური ცვლილებები;
- \*ე) ამოოსპერმია;

1929. ყვითელი სხეულის დისფუნქციის გამოსავლენად გამოიყენება ყველა მეთოდი, გარდა შემდეგისა:

- \*ა) ესტროგენების შემცველობის განსაზღვრა სისხლის შრატში.
- ბ) ლუთეინური ფაზის ხანგრძლივობის განსაზღვრა;
- გ) პროგესტერონის შემცველობის განსაზღვრა სისხლის შრატში;
- დ) ენდომეტრიუმის ბიოფსია და ჰისტოლოგიური გამოკვლევა;
- ე) სხეულის ბაზალური ტემპერატურის ცვლილება;

1930. ენდომეტრიუმის გამოსაკვლევად მიზანშეწონილია ყველა მეთოდის გამოყენება, გარდა შემდეგისა:

- ა) ჰისტეროგრაფია
- ბ) საშვილოსნოს ღრუს შიგთავსის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა;
- გ) ჰისტეროსკოპია;
- დ) ენდომეტრიუმის ბიოფსია;
- \*ე) ლაპარასკოპია;

1931. მენოპაუზისათვის დამახასიათებელი აღების გამოწვევე მიზეზს წარმოადგენს:

- ა) ჩამოთვლილიდან არც ერთი.
- ბ) პროგრესტერონის ღონის მკვეთრი დაქვეითება;
- გ) ესტროგენების ღონის მკვეთრი დაქვეითება;
- \*დ) მალუთეინიზირებული ჰორმონის გამოტყორცნა;
- ე) ფოლიკულმასტიულირებელი ჰორმონის გამოტყორცნა;

1932. ქვემოთ ჩამოთვლილი მენოპაუზისათვის დამახასიათებელი სიმპტომებიდან რომელზე არ ახდენს გავლენას ჩანაცვლებით თერაპია ესტროგენებით:

- ა) დისპარენუია.
- ბ) უძილობა;
- გ) ატროფიული ვაგინიტი;
- დ) ლეპრესია;
- \*ე) საშოს კუნთების ტონუსის დაქვეითება;

1933. შარდშეუკავებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს:

- ა) გაცხიმოვნება.
- \*ბ) უკანა ურეთრო-ვეზიკალური კუთხის ცვლილება;
- გ) ურეთრის პროქსიმალური ნაწილის უკან გადაადგილება ავადმყოფის ბურგზე წოლისას;
- დ) ურეთრის სიგრძის შემცირება;
- ე) ესტროგენების შემცველობის დაქვეითება პოსტკლიმაქტურულ პერიოდში;

1934. ცისტოსკოპია და ცისტომეტრია წარმოადგენენ მნიშვნელოვან მეთოდებს შარდშეუკავებლობის დიაგნოსტიკისათვის, რადგანაც:

- ა) გამოიყენებიან ურეთრის სიგრძის დასადგენად.
- ბ) არ ქმნიან საშარდე გზების ინფიცირების საშიშროებას;
- გ) შეიძლება შეფასდეს ურეთრის ღერძის დახრის კუთხე;
- დ) მათი გამოყენება იძლევა საშუალებას გაიმომოს უშუალოდ უკან; ურეთროვეზიკალური კუთხე;
- \*ე) მათი გამოყენებით შეიძლება გამოირიცხოს შარდშეუკავებლობის არაანატომიურ მიზეზთა უმეტესობა;

1935. რომელი ნივთიერება მიუთითებს ანდროგენების ჰიპერსეკრეციის საკვერცხისმიერ მიზეზებზე?

- ა) საერთო გესტოსტერონი;
- ბ) 17-ჰიდროქსიპროგესტერონი;
- გ) ლეჰიდროქსიანდროსტენდიონი;
- დ) ლეჰიდროქსიანდროსტერონი
- \*ე) ანდროსტენდიონი;

1936. რომელი მეთოდია უფრო ეფექტური ჰორსუგიმმის სამკურნალოდ არარეგულარული მენსტრუალური ციკლის მქონე ახალგაზრდა ქალებში?

- ა) თმის გაუფერულება.
- \*ბ) პერორალური კონტრაცეპცია;
- გ) ელექტროლიზისი;
- დ) მექანიკური ეპილაცია;
- ე) ქიმიური ეპილაცია;

1937. უნაყოფობის ცერვიკალური ფაქტორის კორეგირებისას მკურნალობა ითვალისწინებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილს, გარდა შემდეგისა:

- ა) ექსტრაკორპორალური განაყოფიერება და ემბრიონის ტრანსპლანტაცია.
- \*ბ) ქორიონული გონადოტროპინის ინექციები;
- გ) ანტიბიოტიკოთერაპია;
